საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 20 0000596751

13/07/2020

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის 25 მარტის MES 9 20 00317403 წერილის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ,,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N14 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1.1 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 31 დეკემბერს.“

1.2 გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-17 პუნქტში ნაცვლად 2020 წლის 9 მარტისა მიეთითოს 2019 წლის 31 დეკემბერი.

1.3 გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-19 პუნქტში ნაცვლად 2027 წლის 9 მარტისა მიეთითოს 2026 წლის 31 დეკემბერი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 ივლისის MES 8 20 0000592096 სხდომის ოქმის N08 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 14

2020 წ. "02" 03

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ

შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 01 აგვისტოს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1006342 (ცენტრში რეგისტრაციის №1009426, 1009469, 1009543, 1009607, 1009698, 1009785, 1009846, 1009908, 1009931, 1010244, 1010264) სააკრედიტაციო განაცხადი „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 03 სექტემბრის №778 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის №1100 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 27 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 14 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 02 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ 1.1. და 1.2. კომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2.1. კომპონენტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგროც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“; 2.2. კომპონენტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“; 2.4. კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ მიიჩნია, რომ პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მე-2 სტანდარტი კი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2.6. საბჭომ არ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაცია:

ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტის საფუძველზე.

2.7. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი სავალდებულო/არჩევითი კურსები, რომლებიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის;

საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი არჩევითი კურსები, რომლებიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ქართულენოვან

თავმჯდომარე

მდივანი

მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის;

ბ) მიზანშეწონილია, ხარისხის მართვის სამსახურის გამართული და ეფექტური მუშაობა დარგთან დაკავშირებული სიახლეების დანერგვისა და განხორციელების თვალსაზრისით.

საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხის მართვის სამსახურის გამართული და ეფექტური მუშაობა ისეთ ორგანიზაციებთან, რომლის მუშაობის სპეციფიკა დაკავშირებულია ენის კომპეტენციის განვითარებასთან.

2.8. საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის სტრუქტურაში დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი სავალდებულო/არჩევითი კურსები;

ბ) საგანში: ქართული ენის ლექსიკა, შეიცვალოს თემატიკა (მათ შორის, შეიცვალოს თემები: სიტყვის კომპონენტური ანალიზის მეთოდები. სემისა და არქისემის რაობა (განმარტება) და მათი სტრუქტურა; სემანტიკური ველი, როგორც უმაღლესი სახის ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია. მისი ბუნება და განმარტება; ენობრივი ერთეულების ადგილის განსაზღვრა ლექსიკურ სისტემაში ხაზოვანი (სინტაგმატიკური პოზიცია ტექსტში) და არახაზოვანი (პარადიგმატული - სხვა სიტყვებთან ოპოზიცია) ურთიერთობები; მეტაფორის, მეტონომის, ომონიმის, პარონიმის, სინონიმის, ანტონიმის... სემანტიკურ სტილისტური ფუნქცია და სხვ.) ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან კავშირში;

გ) საგანში: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, შეიცვალოს თემატიკა და დაუახლოვდეს ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, მათ შორის, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით აღწერილი ინტერკულტურული კომპეტენციების ნაწილში (5. 1) და აღნიშნულ საგანში შეთავაზებული იყოს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები;

დ) საგნები: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა და ტოლერანტობა და მრავალფეროვნების ელემენტები დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით საერთო შედეგსა და კომპეტენციებს ავითარებს. შესაბამისად, შესაძლებელია, მათი შერწყმა, ან საგნის, ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, მეორე სემესტრში არჩევითი საგნის სტატუსით შეთავაზება;

ე) საგნები: ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1; ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2 გაერთიანდეს და შეიქმნას ერთსემესტრიანი საგანი. შეიცვალოს თემატიკა. კერძოდ, ქართული ლიტერატურული ტექსტებისა და თხზულებების მიმოხილვითი სწავლების, მწერლების ბიოგრაფიების სწავლების ნაცვლად შეთავაზებული იყოს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები. ასევე, აღნიშნულ საგანში სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შემდეგ, შემუშავდეს პირველი და მეორე დონეებისათვის განსხვავებული სილაბუსები;

ვ) საგანში: ქართული წერითმეტყველების პრაქტიკული კურსი 1 და ქართული წერითმეტყველების პრაქტიკული კურსი 2 შეიცვალოს თემატიკისა და ტექსტური დავალებების ნაწილი. კერძოდ, მხატვრული ტექსტების ანალიზის ნაცვლად შეთავაზებული იყოს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები. ასევე, აღნიშნულ საგანში

სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შემდეგ, შემუშავდეს პირველი და მეორე დონეებისათვის განსხვავებული სილაბუსები;

ზ) საგანი: ქართული ენის ფონეტიკა მოიცავს ქართული ენის ფონეტიკის დეტალურ განხილვას, მათ შორის, ქართულ ვოკალიზმებს, კონსონანტიზმს, ყრუ და მჟღერ თანხმოვანთა დახასიათებას, სამეულებს, წყვილეულებსა და ცალეულებს, რაც აღემატება ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სასწავლო კურსი ინტეგრირდეს ქართული ენის გრამატიკის კურსთან, რომელიც ასევე, დეტალურად განიხილავს ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს;

თ) სილაბუსების ნაწილში შეიმჩნევა ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები. გასწორდეს სილაბუსები ხარვეზებისაგან;

ი) ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაინერგოს ინტერაქტიული მეთოდებით სწავლება. მათ შორის, ჯგუფური მუშობის, თამაშით სწავლების მეთოდები.

2.9. საბჭომ მიიჩნია, რომ რჩევების ნაწილში უნდა გადავიდეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მიზანშეწონილია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მოვიდეს შესაბამისობაში „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან";

ბ) მიზანშეწონილია, „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან", მათ შორის, დარგობრივ კომპეტენციებთან;

გ) მიზანშეწონილია, „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით;

დ) „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში, პირველ სემესტრში, მნიშვნელოვანია აისახოს სტუდენტთა საწყისი კომპეტენციების ენობრივი დონეების მიხედვით საგნების დიფერენცირება;

ე) სასწავლო კურსები არ არის დაყოფილი ენობრივი დონეების მიხედვით. მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსებში აისახოს საწყისი და შემდგომი დონის სტუდენტებისათვის შესაფერისი სასწავლო კურსები სწავლება პირველ სემესტრში;

ვ) მიზანშეწონილია საგნები: ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგიის საკითხები, ქართული ენის გრამატიკა (სინტაქსის საკითხები) და ქართული ენის ფონეტიკა გაერთიანდეს ერთ, 5 კრედიტიან საგნად. ამასთან, აღნიშნული საგნის სწავლება მიზანშეწონილია სწავლების პირველ სემესტრში. სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შემდეგ, მიზანშეწონილია შემუშავდეს პირველი და მეორე დონეებისათვის განსხვავებული სილაბუსები. გამოთავისუფლებული 10 კრედიტი კი მოხმარდეს სავალდებულო/არჩევით დარგობრივ კურსებს, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის;

ზ) მიზანშეწონილია, პროგრამაში განსაზღვრული იყოს დონეების მიხედვით განსხვავებული საკონტაქტო საათები;

თავმჯდომარე

მდივანი

თ) მიზანშეწონილია, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული მეცადინეობები დაემყაროს მეორე ენის სწავლების მეთოდიკას, პრაქტიკულ აქტივობებს.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 7 ხმით ერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019 წლის 01 აგვისტოს წარმოადგინა №1006342 (ცენტრში რეგისტრაციის №1009426, 1009469, 1009543, 1009607, 1009698, 1009785, 1009846, 1009908, 1009931, 1010244, 1010264) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 02 მარტის №04 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი არჩევითი კურსები, რომლებიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის;

ბ) უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხის მართვის სამსახურის გამართული და ეფექტური მუშაობა ისეთ ორგანიზაციებთან, რომლის მუშაობის სპეციფიკა დაკავშირებულია ენის კომპეტენციის განვითარებასთან;

გ) პროგრამის სტრუქტურაში დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი სავალდებულო/არჩევითი კურსები;

დ) საგანში: ქართული ენის ლექსიკა, შეიცვალოს თემატიკა (მათ შორის, შეიცვალოს თემები: სიტყვის კომპონენტური ანალიზის მეთოდები. სემისა და არქისემის რაობა (განმარტება) და მათი სტრუქტურა; სემანტიკური ველი, როგორც უმაღლესი სახის ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია. მისი ბუნება და განმარტება; ენობრივი ერთეულების ადგილის განსაზღვრა ლექსიკურ სისტემაში ხაზოვანი (სინტაგმატიკური პოზიცია ტექსტში) და არახაზოვანი (პარადიგმატული - სხვა სიტყვებთან ოპოზიცია) ურთიერთობები; მეტაფორის, მეტონომის, ომონიმის, პარონიმის, სინონიმის, ანტონიმის... სემანტიკურ

თავმჯდომარე

მდივანი

სტილისტური ფუნქცია და სხვ.) ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან კავშირში;

ე) საგანში: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, შეიცვალოს თემატიკა და დაუახლოვდეს ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, მათ შორის, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით აღწერილი ინტერკულტურული კომპეტენციების ნაწილში (5. 1) და აღნიშნულ საგანში შეთავაზებული იყოს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები;

ვ) საგნები: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა და ტოლერანტობა და მრავალფეროვნების ელემენტები დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით საერთო შედეგსა და კომპეტენციებს ავითარებს. შესაბამისად, შესაძლებელია, მათი შერწყმა, ან საგნის, ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, მეორე სემესტრში არჩევითი საგნის სტატუსით შეთავაზება;

ზ) საგნები: ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1; ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2 გაერთიანდეს და შეიქმნას ერთსემესტრიანი საგანი. შეიცვალოს თემატიკა. კერძოდ, ქართული ლიტერატურული ტექსტებისა და თხზულებების მიმოხილვითი სწავლების, მწერლების ბიოგრაფიების სწავლების ნაცვლად შეთავაზებული იყოს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები. ასევე, აღნიშნულ საგანში სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შემდეგ, შემუშავდეს პირველი და მეორე დონეებისათვის განსხვავებული სილაბუსები;

თ) საგანში: ქართული წერითმეტყველების პრაქტიკული კურსი 1 და ქართული წერითმეტყველების პრაქტიკული კურსი 2 შეიცვალოს თემატიკისა და ტექსტური დავალებების ნაწილი. კერძოდ, მხატვრული ტექსტების ანალიზის ნაცვლად შეთავაზებული იყოს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული ტექსტები და სავარჯიშოები. ასევე, აღნიშნულ საგანში სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შემდეგ, შემუშავდეს პირველი და მეორე დონეებისათვის განსხვავებული სილაბუსები;

ი) საგანი: ქართული ენის ფონეტიკა მოიცავს ქართული ენის ფონეტიკის დეტალურ განხილვას, მათ შორის, ქართულ ვოკალიზმებს, კონსონანტიზმს, ყრუ და მჟღერ თანხმოვანთა დახასიათებას, სამეულებს, წყვილეულებსა და ცალეულებს, რაც აღემატება ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სასწავლო კურსი ინტეგრირდეს ქართული ენის გრამატიკის კურსთან, რომელიც ასევე, დეტალურად განიხილავს ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს;

კ) სილაბუსების ნაწილში შეიმჩნევა ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები. გასწორდეს სილაბუსები ხარვეზებისაგან;

ლ) ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაინერგოს ინტერაქტიული მეთოდებით სწავლება. მათ შორის, ჯგუფური მუშობის, თამაშით სწავლების მეთოდები.

5. მონიტორინგი განხორციელდეს 2020 წლის 09 ნოემბერს.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 09 მარტი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1]

თავმჯდომარე

მდივანი

მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბერი, №449; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881 განკარგულების საფუძველზე - 2018 წლის 31 დეკემბერი; ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის №646 ბრძანებით - 2019 წლის 31 დეკემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N77
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 09 მარტი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

თავმჯდომარე

მდივანი

18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 8 თვე (2020 წლის 09 ნოემბერი)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 09 მარტი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი